

საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთების წარმომავლობის ძიებისათვის

მარიამ გაბაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მხატვრულ დარგებსა თუ მიმდინარეობათა შორის, ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ჯგუფს საგულისხმო ადგილი უკავია. ამ ორიგინალური მხატვრული მოვლენის ძირითად არსს ნივთის ჭვირულობა და სტილიზებული ზოომორფული და ორნამენტული სახეებით შემკობა განსაზღვრავს. ბალთების აღმოჩენა ისეთ რეგიონებში, როგორცაა მთის რაჭა, ზემო იმერეთი (დასავლეთი საქართველო, რიონისა და ყვირილას ზემო წელი), შიდა ქართლი და თრიალეთი (აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ეს რეგიონები ძველთაგანვე ლითონის დამუშავების ძლიერ ცენტრებს წარმოადგენდა.¹ დღეისათვის ორ ასეულზე მეტი ბალთაა აღმოჩენილი.² ისინი, როგორც ჩანს, სერიულადაა ნაწარმოები. ბალთების უმეტესი ნაწილი მომდინარეობს სამარხეული ინვენტარიდან, ნაწილი კი შემთხვევითი აღმოჩენებით გახდა ცნობილი³ (სურ. 1, 2, 3).

ბრინჯაოს ჭვირული ბალთების მიმართ დაინტერესება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩნდა, როდესაც პირველი ნიმუშები ზემო რაჭაში, ზემო იმერეთსა და შიდა ქართლში – სოხთასა და ბაქართას (ურსძუარი) სამარხებში აღმოაჩინეს [აიხვალდი 1837; მონპერე 1893; უვაროვა 1900; თაყაიშვილი 1913: 48; გობეჯიშვილი 1939: 345-361; პჩე-

1 გ. ყიფიანის მიხედვით, ბალთები თავმოყრილია მამისონის, როკისა და ხალაცას უღელტეხილებზე [ყიფიანი 2006: 206].

2 ბალთების უმეტესობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ისინი აგრეთვე მსოფლიოს ისეთი მუზეუმების მფლობელობაშია, როგორცაა, პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟი, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმი, ბრიტანეთის მუზეუმი და სხვ. ბალთები კერძო კოლექციებსაც ამშვენებს. ბალთების უმეტესობა სრულადაა შემონახული, მხოლოდ რამდენიმე ათეულია ფრაგმენტულად წარმოდგენილი, თუმცა, მათი ამგვარი მდგომარეობა კომპოზიციების სრულად აღდგენის საშუალებას იძლევა.

3 ბალთების უმრავლესობა მოპოვებულია თანმხლებ არქეოლოგიურ ინვენტართან ერთად.

ლინა 1968: 131-154]. ამ მხატვრულ ნაწარმოებთა პირველი ფუნდამენტური კვლევები მათი ატრიბუციისა და გამოსახულებათა სემანტიკისადმი მიძღვნილი.⁴ შემდგომში არქეოლოგიურად საფუძვლიანად შესწავლილი ბალთები, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით არასოდეს გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. ამ მხრივ მკვლევრები მხოლოდ ცალკეული სტატიებით ან მოსაზრებებით თუ შემოიფარგლებოდნენ [ივანოვსკაია 1928 a; ივანოვსკაია 1928 b; ამირანაშვილი 1963: 58-62]. პირველად, 1972 წელს გამოცემულ ნაშრომში პროფ. მ. ხიდაშელმა თავი მოუყარა იმხანად არსებულ თითქმის ყველა ბალტას და მათ იკონოგრაფიულ დაჯგუფებასა და ვრცელ სემანტიკურ კვლევას დასჯერდა [ხიდაშელი 1972].

ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ერთ განცალკევებულ ჯგუფს ქმნის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების იბერიის სამეფოს სახვით ხელოვნებაში.⁵ ამ არტეფაქტების გამოჩენის ხანად ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებია მიჩნეული. ამ პერიოდის იბერიის სამეფოს ცხოვრება რთული პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენებითაა ცნობილი. ერთი მხრივ, იბერია დაკავშირებული იყო რომის იმპერიასთან, მეორე მხრივ კი, პართული და შემდგომ, სასანური ხელისუფალნი ცდილობდნენ მის მოქცევას თავიანთი გავლენის ქვეშ. ამ პერიოდში მოხდა საფუძვლიანი ცვლილებები იბერიის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, როდესაც რომმა ის მის მოკავშირედ სცნო. მომდევნო ხანაში, იბერია მოექცა სასანური იმპერიის გავლენის ქვეშ (დაარსდა 224 წელს). ამ მიზეზით იბერია რომს გამოეყო. 241 წლიდან 272 წლამდე იბერია სასანური სამეფოს მოხარკე ქვეყანაა. ახ.წ. III საუკუნეში იბერიის მეფე ამაზასპ III მოხსენიებულია სასანური იმპერიის მაღალი რანგის პირებს შორის.⁶ რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, აქტიურმა ეკონომიკურმა გაცვლა-გამოცვლამ, და

4 ამის შესახებ იხ. ბიბლიოგრაფია [ხიდაშელი 1972; ყიფიანი 2006: 199].

5 იბერია ანუ ქართლი არის ოფიციალური სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოსი ძვ.წ. 280-იანი წლებიდან ახ.წ. 330-იან წლებამდე [ლორთქიფანიძე 1989: 324-369; ლორთქიფანიძე 2002: 238-283]. ბალთების დათარიღება ჯერ ისევ საკამათოა, მაგრამ დღეისათვის მიღებული ქრონოლოგია ახ.წ. I-III საუკუნეებით შემოიფარგლება. დათარიღებათა უმეტესობა არქეოლოგიურ კვლევას ეყრდნობა [კარტერი 1957: 125; ლომთათიძე 1957: 14-93; კერტისი 1978: 88-120; გაგლოვეი 1980: 27; ჯავახიშვილი 1987: 78-79; ბრავაძე 1997: 25-28; სონღულაშვილი 2006: 74-84; ბანკერი 2006: 117], ზოგიერთი მკვლევრის მიერ მოცემული თარიღი დროის ხანგრძლივ მონაკვეთსაც მოიცავს, მაგ., [როსტოვეცი 1922: 40; ბანკერი...1970: 57].

6 ირანში, ნაქში-როსტამის ქააბა ზარდუშტის წარწერაში სასანური ირანის მეფე შაბურ I მის ვასალ მეფეთა შორის იხსენიებს იბერიის მეფე ამაზასპსაც [შპრენგ-ლინგი 1953: 9, 12; თუმანოვი 1969: 18-19].

ასევე, ეთნიკურმა სიჭრელემ იბერიის სამეფოში მულტიკულტურული საზოგადოების შექმნას შეუწყო ხელი.

ამ პერიოდის მატერიალური კულტურა მდიდარია საოქრომჭედლო, გლიპტიკური და კერამიკული ნიმუშებით. ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვერცხლის მხატვრულ დამუშავებას – ტორევეტიკას. იბერიის დიდებულთათვის მორთმეული ტორევეტიკული ნაკეთობების გარკვეული ჯგუფი რომაულ ან სასანურ დიპლომატიურ ძღვენს წარმოადგენს, ნაწილი კი ადგილობრივადაა დამზადებული იმდროინდელი ანტიკური და სინქრონული აღმოსავლური სამყაროსთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის მიხედვით [მაჩაბელი 1970; მაჩაბელი 1976]. ეს მხატვრული ნაწარმოებები აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ ყველაზე მეტად შთამბეჭდავი არტეფაქტების ჯგუფი წარმოდგება არმაზის-ხევისა და ბაგინეთის პიტიახშთა ნეკროპოლიდან, მცხეთის, იბერიის უძველესი დედაქალაქის მახლობლად [აფაქიძე... 1955; ჩუბინაშვილი 2007]. ამ შესანიშნავი ნივთების გვერდით ბრინჯაოს ჭვირული ბალთები სრულიად განსხვავებულ მხატვრულ ჯგუფს ქმნის. ბალთები, რომელიც ცენტრალური რეგიონებიდან დაშორებულ ადგილებშია აღმოჩენილი, არქეოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, ასტრალურ (სოლარულ) კულტთან უნდა იქნეს დაკავშირებული. ისინი სავარაუდოდ, ქალთა კუთვნილი ნივთები უნდა იყოს. ამას მავარაუდებინებს ის გარემოება, რომ ბალთების შემცველი სამარხთა ინვენტარი კერამიკისა და სამკაულის სიუხვით გამოირჩევა. მათ შორისაა სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ფიბულები, ბრინჯაოსა და ელექტრონის საყურეები, ბეჭდები, საკიდები, ინტალიოები, ბრინჯაოს მინიატურული ზოომორფული ფიგურები, ასევე, ახ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებული ვერცხლის მონეტები. რაც მთავარია აქ, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ვერსად შეხვდებით საბრძოლო ან შრომის იარაღს [გობეჯიშვილი 1942: 71-74; 79; 83-85; 90-91; 101-102; ქორიძე 1961: 96-97; 99; პჩელინა 1968: 132-135; 137-141, ტაბ. I, III, IV; ნემსაძე 1972: 23-30; სლანოვი 1980: 215-221, ტაბ. XCVI; გაგლოევი 1981: 228-238, ტაბ. XCIX, C; ჯავახიშვილი 1987: 76-79, ტაბ. X, XI, XII; ბრავგაძე, 1997: 6-7, ტაბ. IX; სონღულაშვილი 2006: 76-77; 79-82]. მეტიც, შიდა ქართლში, ე.წ. “მონასტრის სამაროვანზე” აღმოჩენილია ქალის სამარხი, სადაც ინვენტარის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა იყო. იგი ქალის ჩონჩხის წელის არეში მდებარეობდა [გაგლოევი 1980: 22-31, ტაბ. I, II]. ბალთაზე ცენტრალური ცხოველი ირემია. ქალის სხეულის გვერდით დაკრძალული იყო ცხენი და ძაღლი. ამ ფაქტს ის მნიშვნელობა ენიჭე-

ბა, რომ მკვლევართა აღიარებით სამივე ცხოველი – ირემი, ცხენი და ძაღლი, მზის კულტთან არის დაკავშირებული [ხიდაშელი 1972: 58-86; ფანცხავა 1988: 47; გაგოშიძე 1964: 37; თორთლაძე 2003: 60].⁷ გარდა ამისა, სოხთასა და ბაქართას (ურსძუარი) სამარხებიდან წარმომდგარი ბეჭდებისა და სამაჯურების ზომა შეესაბამება მცირე დიამეტრის მქონე პირთა თითებსა და მაჯებს, რაც ამყარებს იმ ვარაუდს, რომ ისინი ქალთა კუთვნილი სამკაულებია.⁸ აღნიშნული ვარაუდი წინასწარულია და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ ჭვირული ბალთების უმეტესობა დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან – რაჭიდან და ზემო იმერეთიდან წარმოდგება. ადრეულ ხანაში, ეს ორი რეგიონი კოლხეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც იბერიის სამეფოს თანადროულად არსებობდა. ძვ.წ. III საუკუნეში, კოლხეთის აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები იბერიის შემადგენლობაში შევიდა [ლორთქიფანიძე 1989: 326]. რამდენადაც მაღალმთიანი რეგიონები ცენტრისგან მეტ-ნაკლებად იზოლირებულნი იყვნენ, როგორც ჩანს, ადგილობრივი არქაული კოლხური მხატვრული ტრადიციები იმხანად გაბატონებული მხატვრული ტენდენციების გვერდის ავლით აისახა ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებზე.

მკვლევართა მიერ ბალთები რამდენიმე ჯგუფადაა დაყოფილი კომპოზიციური წყობის, იკონოგრაფიული, ტიპოლოგიური და სტილური თვალსაზრისით.⁹ ამ დაჯგუფებაში ნიშანდობლივია კომპოზიციის ცენტრალურ ფიგურათა მკაფიოდ გამოხატული პოზა და კონფიგურაცია, რომელიც ფაქტობრივად კომპოზიციის სტრუქტურასა და თავისებურებებს განსაზღვრავს.

ბალთებზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული კომპოზიციური სქემები და იკონოგრაფიული ტიპებია წარმოდგენილი.¹⁰ ბალთები ჩამოსხმულია ცვილის მოდელის დაკარგვის ტექნიკით, რაც მათი მხატვრული იმპროვიზირების საშუალებას ქმნის. ისინი სხვადასხვა ზომისაა (ექ-

7 გარდა ზემოჩამოთვლილისა, კონცენტრული წრეები ცენტრალური ცხოველის მკერდსა და თქიფზე მეცნიერთა მიერ ასტრალურ სიმბოლოებად არის მიჩნეული [ბარდაველიძე 1953: 54-94; ხიდაშელი 1972: 79; სურგულაძე 1986: 20].

8 სოხთას სამარხში აღმოჩენილი ბეჭდების დიამეტრი მერყეობს 1,5-დან 2 სმ-მდე, ხოლო ბაქართას (ურსძუარის) სამარხიდან წარმომდგარი სამაჯურის დიამეტრია 8,6 სმ. იხ. [პჩელინა 1968: 132; 137]; ბალთების ატრიბუციასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს პროფ. გ. ყიფიანს, რომელსაც მიაჩნია, რომ ბალთები წარმოადგენდა მეომართა ემბლემებს და დამზადებული იყო კონკრეტული სამხედრო კოჰორტისათვის შესაბამისი იკონოგრაფიული და კომპოზიციური სქემის მიხედვით. იხ. [ყიფიანი 2006: 199-214].

9 მ. ხიდაშელი ბალთებს ხუთ იკონოგრაფიულ ჯგუფად ყოფს ცენტრალური ფიგურის ტიპისა და ჩარჩოს მამკობი ორნამენტის მიხედვით [ხიდაშელი 1972: 18-46].

10 ბალთების იკონოგრაფიული კლასიფიკაცია იხ. [ხიდაშელი 1972: 21-38].

ვსიდან ოცდაერთ სანტიმეტრამდე),¹¹ სწორკუთხა (კვადრატული), გარშემო ორნამენტული ჩარჩოს არშით მორთული, რომლის ოთხსავე კუთხეში თითო კოპია დასმული (კოპები სხვადასხვა ბალთაზე განსახვავებული სიმაღლისაა). ბალთებს ზურგის მხარეს მარყუჟი და კავი აქვს მირჩილული. კომპოზიციები ერთი მხატვრული სქემითაა შექმნილი. ჩარჩოს შიგნით წარმოქმნილ კვადრატულ კადრში ზომომორფული ფიგურებისგან შემდგარი რელიეფური კომპოზიციაა მოცემული, რომელთა მხატვრული და იდეური ღერძი ცენტრალური ფიგურაა. იგი სტილიზებული ირმის, ცხენის, ფანტასტიკური ცხოველის ან, იშვიათად, ხარის ფიგურით არის წარმოდგენილი. ცენტრალური ცხოველის ირგვლივ მასზე მცირე ზომის ე.წ. დამატებითი ფიგურებია თავმოყრილი, ძირითადად, ძაღლების, სხვადასხვა სახეობის ფრინველის, გველების, თევზების, კვიცების, ხარების, ან ხარის და ვერძის თავების, რეპტილიებისა და ხშირად, დიდი ზომის S-ებრი ორნამენტის სახით. მათი რაოდენობა ერთიდან შვიდამდე მერყეობს. ფიგურები ერთმანეთს ებმიან, მათ შორის წარმოქმნილი თავისუფალი არეები კი სხვადასხვა ფორმის ჭვირულ სივრცეებად იქცევა. დამატებითი ფიგურების განლაგება მკაცრად განსაზღვრულია: ცენტრალური ცხოველის წინ, მის ზურგზე, მის ფეხებს შორის, მუცლის ქვეშ. ჩვენ შეგვიძლია, ისინი პირობითი ნიშნებით აღვნიშნოთ: A – ცენტრალური ცხოველი; B – ცენტრალური ცხოველის ზურგზე მოთავსებული ფიგურა; C – ცენტრალური ცხოველის წინ მდებარე ფიგურა; D – ცენტრალური ცხოველის მუცლის ქვეშ, ფეხებს შორის მოთავსებული ფიგურა (სურ. 3). ამგვარი აღნიშვნა ტ. ივანოვსკაიას ეკუთვნის [ივანოვსკაია 1928a] და ის აადვილებს კომპოზიციური სქემის აღქმასა და წაკითხვას. ამ პირობითი ნიშნებით სარგებლობდნენ პროფ. გ. გობეჯიშვილი და პროფ. მ. ხიდაშელი [ხიდაშელი 1972: 18].

ბალთების რეპერტუარი მხოლოდ ზომომორფული და ორნამენტული სახეებით არის შემოსაზღვრული. კომპოზიციებში ადგილი არ აქვს მცენარეულ მოტივებს. ანთროპომორფული ფიგურები კი მხოლოდ სამ ნიმუშზე გვხვდება, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოდგება სოფ. ღებიდან (მთის რაჭა. დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში), ორი კი შიდა ქართლიდან, ბაქართას (ურსძუარი) და სოხთას სამაროვნებიდან [ტეხოვი 2006: 495, 497, სურ. 10, ფიგ. 8; სურ. 12, ფიგ. 2]. ყველა ტიპის ბალთას მკაცრად დადგენილი სქემა აქვს, რომელიც თავის მხრივ, სტილურ და კომპოზიციურ ელემენტებს აერთიანებს. ერთი შეხედვით ერთმანეთის მსგავსი კომპოზიციები მკვეთრად ინდივიდუალური ხა-

11 ყველაზე მცირე ზომის ბალთა დაახლოებით 7 X 6 სმ-ია (ბალთა წარმოდგება ბრილის სამაროვნიდან, მთის რაჭა).

სიათისანი არიან, თუმცა მათ საერთო მხატვრულ-სტილური ნიშნები და შესრულების ერთიანი მანერა აქვთ: ცენტრალურ ცხოველთა სხეული ჰორიზონტალურად გაშლილი S-ებრი სპირალის ფორმისაა. ისინი მუდამ პროფილშია გამოსახული და კომპოზიციის მარჯვნივ მიმართული. მათ ჩარჩოს შიგნით არსებული კადრის უმეტესი ნაწილი უკავიათ და სიგანით თითქმის მთლიანად ავსებენ არეს ჩარჩოს ერთი კიდიდან მეორემდე, ბალთებზე წარმოდგენილ ცხოველთა სხეულები ამობურცული, რბილი, დაუნაწევრებელი მოდელირებით ხასიათდება. გლუვ ზედაპირებზე ხშირ შემთხვევაში გრაფიკული აქცენტებია დატანილი კონცენტრული წრეების, „თევზისფხური“ ორნამენტის ან, ძალზე იშვიათად, ერთმანეთის პარალელური ჭდეების სახით. ჩარჩოს არშიის მამკობი ორნამენტები მკაცრად განსაზღვრულია: ისინი ძირითადად სამი სახისაა: გრებილი, წნული და S-ებრი – ე.წ. „მორბენალი სპირალი“. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება „დედალი დუგმისებრი“ ორნამენტიც.

საგულისხმოა დამატებითი ცხოველების სხვადასხვა რაკურსით გადმოცემა: ფრონტალურად, პროფილითა და ზედხედით. ზოომორფულ გამოსახულებათა მხატვრული ინტერესი მათ სტილიზაციასა და განზოგადებულად გადმოცემაში მდგომარეობს. ფორმები სადა და გლუვ მოცულობამდეა დაყვანილი და ზოგჯერ აბსტრაგირებულიცაა. წარმმართველია მოცულობა და სილუეტი. მოცულობითი ფორმები სიბრტყესთან, ანუ ამ შემთხვევაში ფონთანაა დაკავშირებული. მოცულობები აქცენტირებულია მოქნილი, ექსპრესიული კონტურის ხაზით. სხეულთა ერთიანი განზოგადებული ნაწილები იმას მიუთითებს, რომ პლასტიკურ-მოცულობით გამოსახულებებში განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას სილუეტი იძენს. ცენტრალურ ცხოველთა S-ებრი სილუეტი გვევლინება კომპოზიციათა მათგანიზებულ ელემენტად და ფორმათა განმსაზღვრელად. ძალზე ხშირად, ფიგურებში სკულპტურული მიდგომა სწორედ ამგვარი მოცულობითი და სილუეტური პლასტიკით მიიღწევა, სადაც რელიეფი გამახვილებულია აქა-იქ ჩართული, საერთო ფონიდან მკვეთრად გამოზიდული მრგვალი ნაქანდაკარით, როგორცაა, ცენტრალურ, ან დამატებით, ცხოველთა თავები ან რქები. ისინი რელიეფის სიმაღლეს სცილდება და სრულიად სხვა წარმოსახვით შრეს ქმნიან. რაც შეეხება ფონს, ის ქსოვილის ან ტყავის ფაქტურა იქნებოდა, რომელზეც ბალთა იყო დამაგრებული. ბალთების მხატვრულ სახეს მნიშვნელოვანწილად ლითონის პოლიქრომიული ეფექტის გამოყენებაც განსაზღვრავს, რაც ფონისა და ბრინჯაოს ოქროსფერი ბზინვარების ერთობლიობას ბადებს: ბრინჯაოს მიმქრალ ოქროსფერ ბზინვარებასთან მიმართებაში წარმოქმნილი ფონი,

რა ფერისაც უნდა იყოს, დაჭვირულ არეებს სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას ანიჭებს – ისინი უკვე ჰაეროვან, ცარიელ სეგმენტებად აღარ მოიაზრება, არამედ, ფონის შეფერილობით ამოივსება და ამგვარად წარმოქმნილი შუქ-ჩრდილის ცხოველხატული თამაში, ამობურცული ოქროსფერი ზედაპირების ლიცლიცი განსხვავებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. კომპოზიციებში ჰარმონიულად ჩართული ჭვირული არეები აღიქმება როგორც რიტმული პაუზები, რომელთაც ფორმათა „გარღვევები“ შემოაქვთ და ამით, მნახველზე ოპტიკურ ზემოქმედებას ახდენენ. ცვილის მოდელის დაკარგვის ტექნიკის მეშვეობით, რომელიც მხატვრულ იმპროვიზაციას გულისხმობს, ყოველი ნიმუში ინდივიდუალური მხატვრული ნიშნით გამოირჩევა.

ამ ნაწარმოებთა მხატვრული ენა მტკიცედ ჩამოყალიბებულ მხატვრულ სისტემას ასახავს, სადაც პლასტიკური და ხაზობრივ-გრაფიკული ამოცანები სინკრეტულად ყალიბდება და ვითარდება იმგვარად, რომ ერთი დამოუკიდებელი მხატვრული სახე იქმნება.

პლასტიკის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო ის იკონოგრაფიული ტიპია, სადაც ცენტრალური ცხოველი უკანთავმობრუნებული ირემია. ეს ტიპი ორფიგურიანი კომპოზიციისგან – A და D – შედგება (სურ. 1).¹² აქ ცენტრალური და დამატებითი ცხოველებიც განზოგადებულადაა გადმოცემული, რბილი და გლუვი ზედაპირებით, სადაც ცხოველის იდენტიფიკაცია ფორმითა და სილუეტითაა გამოხატული. ამ იკონოგრაფიულ ჯგუფში D ფიგურა წარმოდგენილია ფრინველის, ძაღლის, ან, ხარის ან ვერძის თავით. ყველა შემთხვევაში, ცენტრალური ცხოველი ძლიერ სტილიზებული ირემია, მკაცრად ჩამოყალიბებული რქის ფორმით – რქის ღერძი ცხოველის თავის შუა ნაწილშია მოთავსებული, საიდანაც ორი ტოტი ორსავე მხარეს ტალღოვანად იშლება. თითოეული ტოტი სამკაპისებრი ფორმით ბოლოვდება. რქებს ბალთის კომპოზიციის ზედა ნაწილი სრულად უკავია და კომპოზიცი-აში ყველაზე უხვად დაჭვირულ სივრცეებს ქმნის.

ცხოველის სხეული ორ ძირითად ნაწილადაა დანაწევრებული – ზურგისკენ მიბრუნებული კისერი და თეძო. ორივე ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია დიაგონალურად დახრილი ვიწრო წელით. სხეულის ამ ნაწილებზე კონცენტრული წრეებია აღბეჭდილი. ცენტრალური ცხოველის სხეული მუდამ პროფილშია წარმოდგენილი, რქები კი ფრონტალურად. ფიგურა თითქმის სრულად ავსებს ჩარჩოს შიგნით არსებულ სივრცეს, კადრს. კომპოზიციის აგების თვალსაზ-

12 გამონაკლისს წარმოადგენს შოშეთის ნეკროპოლზე (მთის რაჭა, სოფ. ღებთან) აღმოჩენილი ბალთა, სადაც ტრადიციული ორის ნაცვლად, ოთხფიგურიანი კომპოზიციის მოცემული – ABCD. ბალთა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მისი საინვენტარო ნომერია 14-998:1.

რისით აღსანიშნავია წინა ფეხების მიმართულება, რომელიც ყველა შემთხვევაში უკანა ფეხების თანმხვედრადაა შემოტრიალებული. ფეხების ამგვარი უცნაური განლაგება იმით უნდა აიხსნას, რომ ოსტატი ამ ხერხის საშუალებითაც ცდილობს კომპოზიციის სიმეტრიის ღერძის გამოვლინებას.

ცენტრალური ცხოველის პოზა და კონფიგურაცია კომპოზიციის რიგ თავისებურებებს განსაზღვრავს. ზურგისკენ თავმობრუნებული პოზა ქმნის სპირალურ „სტრუქტურას“, სადაც მკაფიოდ ვლინდება სტილიზებული ცხოველის მოცულობითი ფორმებითა და მოქნილი ტალღოვანი აბრისით შექნილი ექსპრესია და დინამიკა. იგი ფიგურის წინასწრაფვას ამუხრუჭებს და ამასთანავე, დაუსრულებელი სპირალისებრი მოძრაობის განცდასაც ბადებს.

აღნიშნული იკონოგრაფიული ტიპის ბალთებზე ჩარჩოს არშიები გაფორმებულია გრეხილი, წნული ან S-ებრი ორნამენტით. ისინი შესრულებულია დაბალი რელიეფით, და დამუშავებულია რბილი, მოქნილი პლასტიკით.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ კულტურებში, ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ანალოგიური არტიფაქტები არ მოგვეპოვება. მისი შორეული პარალელები შეიძლება მოვიძიოთ ელინისტური ხანის კოლხურ საოქრომჭედლო ხელოვნებაში – ოქროს ჭვირულ თავსამკაულზე, რომელიც 2004 წელს აღმოაჩინეს ვანის სამაროვანის ერთ-ერთ სამარხში¹³ (სურ. 4). სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება [კაჭარავა...2005: 32; 58-59]. ვანის თავსამკაული უნიკალური ნივთია. მასზე თვალსაჩინოდაა ასახული ადგილობრივი კოლხური მხატვრული და საოქრომჭედლო ტრადიციები. მხატვრული კონცეფციისა და კომპოზიციური სქემის მიხედვით, ბალთები ამ ნივთის რემინისცენციად შეიძლება მივიჩნიოთ.

თავსამკაული ორმაგკედლიანი, ტრაპეციული ფორმის ჭვირული ნივთია, თავზე ზოომორფულ გამოსახულებათა სკულპტურული ჯგუფით (ღრმუსხმულიანი ლომებისა და ფრინველების). ნივთი ოქროს მთლიანი ფირფიტის გადაღუნვის შედეგად არის შექმნილი. მის ორსავე მხარეს ზოომორფული სახეებისგან შემდგარი ანალოგიური ოთხფიგურიანი ჭვირული კომპოზიციებია გამოსახული – ცენტრში პროფილით წარმოდგენილი და მარცხნივ მიმართული დატოტვილრქიანი ირემია. ირემის გარშემო წარმოქმნილ ხალვათ სივრცეში ზურგისკენ თავმობრუნებული შვლების ფიგურებია ჩართული. ბრინჯაოს

13 სამარხი № 24, თავსამკაულის სიმაღლე: 64-64 მმ. ნივთი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში.

ჭვირული ბალთების დარად, ფიგურები ერთმანეთს მცირე შვერილეს ან სხეულის რომელიმე დეტალით ებმის. ფიგურათა ხაზგასმულად სიბრტყოვანი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ ისინი ლითონის თხელი ფირფიტებისგან არის გამოჭრილი და არ გამოდიან წარმოსახვითი ჭვირული ფონის ფარგლებიდან. ამ თვალსაზრისით, ისინი ბრინჯაოს ბალთებისგან განსხვავდებიან. თავსამკაულის ფიგურათა ნაზად დამუშავებული ბრტყელი ზედაპირები ნატიფ და დახვეწილ იერს ანიჭებს მათ. ფიგურათა დეკორატიული მორთულობა მხოლოდ ძუნწად გამოყენებული გავარსითა და პუნსონით შემოიფარგლება. ოქროს ბზინვარება ხაზს უსვამს ლითონის ფაქტურას. კომპოზიცია, რომელიც გრაციოზული, მშვიდი და დახვეწილი ფორმებით არის გაჯერებული, ჭვირული სივრცეების წყალობით მეტ სიმსუბუქეს იძენს.

ამგვარად, ბრინჯაოს ბალთების ძირითადი მხატვრული მიდგომა და კომპოზიციური სქემა იმეორებს ვანის თავსამკაულისას: ის ჭვირულია, ABCD სქემა უცვლელია, დამატებითი ცხოველები ცენტრალურ ფიგურაზე მცირე ზომისაა. ერთადერთი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ცხოველი მიმართულია კომპოზიციის მარცხნივ. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე აღმოჩენილ ამ ტიპის ნაწარმოებთან ვანის ნიმუში ჯერჯერობით ერთადერთია და მის გარდა, არ მოგვეპოვება სხვა დამამტკიცებელი არტეფაქტი საიმისოდ, რასაც ბრინჯაოს ჭვირული ბალთების წარმომავლობა და განვითარების ეტაპები შეიძლება დავუკავშიროთ, ამ უკანასკნელის ზუსტი კომპოზიციური სქემა, იკონოგრაფიული და მხატვრული მიდგომები გვაძლევს იმ ვარაუდის გამოთქმის უფლებას, რომ ბალთებზე ასახული თავისებურებები ელინისტური კოლხეთის საოქრომჭედლო ხელოვნებაში ვეძიოთ. ყოველივე ეს, მათ საერთო მხატვრულ ტრადიციებზე საუბრის ნებას გვრთავს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბალთების მხატვრულ-კომპოზიციური კონცეფცია შესაძლოა, ანტიკური კოლხეთის სახვითი სისტემიდან მომდინარეობდეს.

ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებთან მსგავსი მხატვრული ნიმუშები ახასიათებს ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ლურისტანული მხატვრული ბრინჯაოს ნაწარმში შემავალ ჭვირულ არტეფაქტებს. ეს მხატვრული ნაწარმი ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება [მუსკარელა 1988: 118-119]. ლურისტანული ბრინჯაოს ნივთები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია [ვეილი 1982: 142, 143, 144, 145, ფიგ. 117, 118, 119, 120; მუსკარელა 1988: 124, 165, ფიგ. 195, 257-258; ენჟელი... 2008: 123, ფიგ. 88]. ჭვირულ ბალთებთან შედარებისას, ლურისტანული ბრინჯაოს არტეფაქტებზე გამოსახულებათა დამუშავებასა და არშიათა ორნამენტულ შემკულობაში საერთო მხატვრული ნიმუშები მოიძიება.

ჩვენი ბალთების მსგავსად, ლურისტანული ნიმუშებიც იმავე მასალითა და ტექნიკით – ცვილის მოდელის დაკარგვით – არის შესრულებული. ორივეგან, „ქართულსა“ და ლურისტანულ არტეფაქტებზე ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლები არიან გამოსახულნი. ცხოველთა სხეულებზე სახვის საერთო მხატვრული ნიშნებია გადმოცემული, როგორცაა გლუვი ზედაპირები, ძუნწი შემკულობა და სხეულთა ცალკეული ნაწილების (კუდი, თათები, ფეხები და ა.შ.) „ლილვისებრი“ მოდელირება.

ლურისტანული მხატვრული ბრინჯაოს ნაწარმოებთაგან განსაკუთრებულ მსგავსებას „ქართულ“ ჭვირულ ბალთებთან ავლენს თეირანში, ირან-ბასტანის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს საკინძის ჭვირული თავი [აფანასევა...1976: 163, სურ. 5].¹⁴ სწორკუთხა ჩარჩოში მოთავსებულია ჰერალდიკური ჭვირული კომპოზიცია – ცენტრში მთელი სიმძლივით ფრონტალურად წარმოდგენილი ანთროპომორფული ფიგურა (ქალღვთაება). მის ორსავე მხარეს, პროფილში, ვერტიკალურად აღმართული ცხოველებია გამოსახული. ცხოველთა უკანა თათები იმგვარად ეკვრის ანთროპომორფული ფიგურის წელს, რომ მისი სამოსის სარტყელს ჩამოჰგავს. სტილიზაციის გარდა, გამოსახულებები არ არის შემკული რაიმე დეკორატიული ელემენტებით. სხეულებს გლუვი ზედაპირი აქვს. ისინი ხისტადაა მოდელირებული. ნივთის ფორმისა და კომპოზიციის ჭვირულობის გარდა, ყურადღებას იქცევს ჩარჩოს არშიის დეკორატიული შემკულობა – გლუვი ლილვით გაყოფილი ორი გრებილი, რომელიც წნული ორნამენტის სახეს ქმნის. ასეთივე ლილვებითაა მოფარგლული ჩარჩოს შიდა და გარე კიდეები. ამგვარად შემკული არშია ბრინჯაოს „ქართულ“ ჭვირულ ბალთებზე შესრულებული, მკაცრად დადგენილი ჩარჩოს არშიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობის ზუსტი ანალოგიაა (სურ. 2, 5). დეკორატიული მოტივების გარდა, ანალოგიურია მათი დამუშავების ხერხებიც – რბილი, ამობურცული, დაბალი რელიეფით შესრულებული ფორმები. ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს ლურისტანულ ნიმუშზე ჩარჩოს კუთხეებზე კოპების არარსებობაში. ლურისტანული საკინძის თავი დათარიღებულია ძვ.წ. IX ს-ით [აფანასევა... 1976: 163].

მომდევნო ლურისტანული ბრინჯაოს ჭვირული ფირფიტა ჩვენს ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მის კუთხეებში დაბალი მრგვალი კოპებია მოთავსებული [პოუპი 1938: 40, ფიგ. D; ენჟელი... 2008: ფიგ. 138]. ამ ნივთის არშიები მორთულია წნული დეკორატიული მოტივით, თუმცა მისი დამუშავება უკვე განსხვავებულია „ქართული“ ბალთე-

14 ჩარჩოს არშიათა მსგავსების შესახებ იხ. [ბრენტისი 1978: ფიგ. 36]; მსგავსი ფირფიტები დაცულია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში.

ბისა და ლურისტანული საკინძის თავისგან. ყველა შემთხვევაში, ამ ფირფიტაზე ბრინჯაოს „ქართულ“ ჭვირულ ბალთებში კარგად განვითარებული მხატვრული მიდგომა ვლინდება. ეს ნივთი დათარიღებულია რკინის ხანა II და III-ის მიჯნით (ძვ. წ. 1000-700 წწ.) [ენჭელი... 2008: 145]. აღსანიშნავია, რომ ჩარჩოს არშიათა ამგვარად მოდელირება ნიშანდობლივია ლურისტანული ჭვირული არტეფაქტებისთვის, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, კუთხეებში დასმული კოპების გარეშე [პოუპი 1938: 40].

ლურისტანული ჭვირული ნივთების კომპოზიციური სქემა განსხვავდება „ქართული“ ბალთების სქემისგან – „ლურისტანული ბრინჯაოს“ არტეფაქტების მხატვრული კონცეფცია, კოლხურ-იბერიული ბალთებისგან განსხვავებით, მკაცრად არ აკანონებს ამ რიგის ნივთების კომპოზიციურ სქემებს. ყველაზე ხშირია ახლოაღმოსავლეთის ხელოვნებაში ადრეული ხანიდან ფართოდ გავრცელებული ჰერალდიკური კომპოზიცია. „ქართულ“ ბალთებზე კი ამა თუ იმ ღვთაების ზოომორფული ინკარნაცია ანუ დამატებითი ცხოველები, ცენტრალურ ფიგურებთან შედარებით ყოველთვის მცირე ზომისანი არიან და მათ შორის სუბორდინაციის პრინციპი მუდამ დაცულია.

ლომის ზოომორფული ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკებები ჰასანლუს არქეოლოგიური კულტურიდან ასევე ყურადსაღები არტეფაქტია, სადაც ორნამენტულ მოტივსა და დამუშავებაში „ქართულ“ ბალთებთან მსგავსი მხატვრული ტენდენციები აღინიშნება. ჰასანლუს ძეგლებიც, ლურისტანის დარად, ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან მომდინარეობს. სტილიზებული ლომების ფაფარი გადმოცემულია იმავენაირად, როგორც ეს ლურისტანული საკინძის თავის არშიათა შემკულობაში ვნახეთ [ანეა 1984: 38, ფიგ. 50]. ჰასანლუს ქანდაკებები ლურისტანულ არტეფაქტზე რამდენადმე ადრეულია. ისინი ძვ.წ. XII-XI საუკუნეებითაა დათარიღებული (რკინის ხანა II) [ანეა 1984: 39].

ამგვარად, ჩვენ მიმოვიხილეთ საერთო მხატვრული ხაზი, რომელშიც ნიშანდობლივი მსგავსებანი და განსახვებანიც მკაფიოდ წარმოჩინდა. ლურისტანულ არტეფაქტებზე დადასტურებული ჩარჩოს არშიათა ტიპი და დამუშავება ქართული ბალთებისთვის ნიშანდობლივია და ზოგ შემთხვევაში ანალოგიურიც. ხანგრძლივი ქრონოლოგიური ლაკუნის მიუხედავად, ზემოხსენებული ორნამენტული მოტივების მსგავსება, ახლოაღმოსავლური და ანტიკური კოლხურ-იბერიული მხატვრული ტრადიციების ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს. ქრონოლოგიური ინტერვალის საკითხი ართულებს მსჯელობას ტრადიციათა თანმიმდევრულობაზე. ამგვარად, დგება საკითხი აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჭრილში ამ ნივთების მხატვრული კავშირების შესა-

ნებ, რომელიც სამომავლოდ ინტერდისციპლინარულად არის საკვლევი. შესაძლოა ასევე, რომ ზემომოყვანილი ახლოაღმოსავლური პარალალური მასალა ვინმეს არასაკმარისი მოეჩვენოს, მაგრამ ის რაც ამ კვლევაშია წარმოდგენილი, ფაქტობრივად დადასტურებულია, ის არტეფაქტია და ვალდებულნი ვართ, რომ ისინი მხედველობაში მივიღოთ.

ლითონის ჭვირული არტეფაქტების სიუხვით ნომადური სახვითი ხელოვნებაც მდიდარია. მათ შორის გამოირჩევა სკვითური „ცხოველ-სახოვანი სტილის“ ნიმუშები მასალით, კომპოზიციათა სხვადასხვაგვარობით, ზოომორფულ გამოსახულებათა და მოტივთა მრავალსახოვნებით და დანიშნულებით. მათი ფუნქცია მრავალფეროვანია: ცხენის აღკაზმულობის დეტალები, სხვადასხვა სახის სამკაული, ბალთები, საკინძები, შტანდარტები, კვერთხის თავები და ა.შ.

სკვითური „ცხოველსახოვანი სტილი“ ძვ.წ. VII საუკუნის მიწურულს ჩნდება და ვრცელდება ევრაზიის ვრცელ გეოგრაფიულ არეალში ჩრდილო შავიზღვისპირეთის ჩათვლით, მდინარეების დონის, ვოლგისა და ურალის დაბლობებში, შუა აზიაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, ალტაიში და ჩრდილოეთ ჩინეთის ორდოსის რეგიონში [რაევსკი 2006: 17]. შესაბამისად, სკვითური არტეფაქტები ერთმანეთისგან ლოკალური მხატვრული ნიშნებით გამოირჩევა. ადრეული სკვითური ჭვირული ნივთები კი არსებობას იწყებს ძვ.წ. VI საუკუნიდან და ქრება ძველი და ახალი ათასწლეულების მიჯნაზე [არტამონოვი 1973: 218-236].

ოქროს ნივთები ხშირად ინკრუსტირებულია ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვებით, უმთავრესად, ფირუზითა და მინით. სკვითური ხელოვნებისთვის გამორჩეულად დამახასიათებელია სტილიზებულ ცხოველთა შემდეგნაირად გამოსახვა: წრიულად დახვეული ცხოველებისა (განსაკუთრებით ჩრდილო შავიზღვისპირეთის რეგიონში), მტაცებელი ცხოველების, ორთაბრძოლისას გამოსახული ექსპრესიული კომპოზიციები და მშვიდად მდგომი წყვილადი ფიგურები ან ჰერალდიკური კომპოზიციები (ორდოსის ჯგუფი). ცხოველთა ორთაბრძოლის დინამიკურ და ექსპრესიულ კომპოზიციებზე ფიგურები რთული აგებულებისაა და სხვადასხვა რაკურსით არის ნაჩვენები. [პენგი... 1998: 83, 84, 85, 89, ფიგ. 86, 87, 89, 92]. რაც შეეხება ნივთების ფორმას, ისინი მრავალფეროვანია: მარტივი წრე, სწორკუთხა ან კვადრატული, ჩარჩოიანი ან უჩარჩოო ფირფიტები, ე.წ. P-ებრი და B-ებრი ფორმისა, რომელიც უმთავრესად ციმბირული კოლექციის ნივთებისთვის არის დამახასიათებელი [არტამონოვი 1973: 27, 33, 111, 129, 130, 136, 137, ფიგ. 27, 34, 35, 152, 153, 176, 184, 185]. სკვითური „ცხოველსახო-

ვანი სტილის“ ფიგურებზე დომინირებს კოლხურ-იბერიული ჭვირული ბალთებისთვის დამახასიათებელი S-ებრი ფორმები, რაც ორთავე მხატვრული მოვლენისთვის ნიშანდობლივი სახვითი ელემენტია.

თუმცაღა, სკვითური არტეფაქტები მაინც განსხვავდება კოლხურ-იბერიული ბალთებისგან კომპოზიციური წყობის, ფიგურათა მოდელირებისა და მხატვრული გადაწყვეტის მხრივ. სკვითურ ხელოვნებაში ფიგურათა სხეულის დამუშავება ძირითადად ზედაპირის ბრტყელ სეგმენტებად დაყოფაში მდგომარეობს. „ქართული“ ბალთების გლუვი და დახვეწილი, ლურისტანული ნივთების ერთგვარად „ნისტი“, ხოლო ორთავე მხატვრული წრისთვის საერთო „ლილვისებრი“ მოდელირება აქ სრულიად უცხოა.

განხილული მასალა სამი კულტურული წრის – ახლოაღმოსავლურის (ლურისტანი, ჰასანლუ), სკვითურისა და კოლხურ-იბერიულის მხატვრულ ტრადიციებს მოიცავს. კოლხურ-იბერიული ბალთების „კანონიზირებული“ კომპოზიციები ახალ, გამორჩეულ იკონოგრაფიულ სქემას ქმნის, რომელიც ნივთების ინდივიდუალურ ხასიათს განსაზღვრავს. სტილიზაცია, რომელიც სამივე კულტურული წრისთვისაა დამახასიათებელი, სამივეგან განსხვავებული ხერხითაა მიღწეული: „ქართულ“ ბალთებზე სტილიზაციისთვის მთავარი ელემენტი – S-ებრი ფორმა არჩეული, რომლის სხვადასხვაგვარი ვარირება ხდება ისე, რომ აბრისის ფორმისმიერი განცდა არასოდეს იკარგება ცხოველთა სხეულებსა თუ ორნამენტებზე. ადრეულ კოლხურ და ახალი ხანის იბერიულ ლითონმქანდაკებლობაზე თავშეკავებული დინამიზმი და ექსპრესია გამოდის წინ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება სკვითურ არტეფაქტებთან შედარებისას, სადაც ექსპრესია და დინამიზმი ხშირად სტილიზაციას იმგვარად ეთანადება, რომ ფიგურები სცილდება რეალობის საზღვრებს და მათი იდენტიფიკაცია არსებითად რთული ხდება. ბალთებზე პირიქით, სტილიზაცია არასოდეს არღვევს ნატურალური ფორმების აღქმას. ასევე აღსანიშნავია, ცხოველთა მკერდსა და თეძოზე დატანილი კონცენტრული წრეები, რადგან ისინი, როგორც ხაზოვანი ელემენტები (სკვითურში ხშირად სხეულის ეს ნაწილები ინკრუსტაციით არის აღნიშნული) ცხოველის სხეულის ამა თუ იმ ნაწილს უსვამს ხაზს. ცხოველის სხეულის ამგვარი აღნიშვნა ახლოაღმოსავლური – ასურულ-ბაბილონური – ხელოვნებიდან მომდინარეობს [არტამონოვი 1973: 233]. იგი კიდევ ერთ დამადასტურებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ამ კულტურულ წრესთან ახლო კონტაქტისა, საიდანაც სხეულის ფორმების ამგვარი აღნიშვნა იღებს სათავეს. გარდა ამისა, ნივთების მოჩარჩოება განსაზღვრავს მათ თავისებურებას.

მხატვრული ანალიზის შედეგად ასეთი სურათი იხატება – ახ.წ. პირველი საუკუნეების კოლხურ-იბერიული ჭვირული ბალთები შეიცავს როგორც ადრეულ, ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებს, ისე რკინის ხანის ახლოაღმოსავლური ხელოვნების, კერძოდ, ლურისტანისა და ჰასანლუს არტეფაქტებისთვის დამახასიათებელ სტილურ ნიშნებს. ამას ემატება სკვითური „ცხოველსახოვანი სტილის“ ზოგიერთი მხატვრული დეტალიც. ჭვირული ბალთების მხატვრულ-სტილური შედარებითი ანალიზი ჰასანლუ/ლურისტანისა და სკვითური ხელოვნების ნაწარმოებებთან ცხადყოფს ბალთების ინდივიდუალურ ხასიათს, რომლის ძირებიც შესაძლოა, ელინისტური კოლხეთის მხატვრული მელითონეობის წიაღში ვეძიოთ. ბრინჯაოს ბალთების კომპოზიციებში ადრეული ხანის ლითონმქანდაკებლობაში გავრცელებული ზოომორფული ფორმების ტრანსფორმაცია და მხატვრული ფორმების ავტოქთონურობა ვლინდება. ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიციები და გამოსახულებები მკაფიო იკონოგრაფიულ სისტემას ქმნის, რომელიც თავის მხრივ, გამორჩეულ, დამახასიათებელ მხატვრულ სტილს აყალიბებს. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების კოლხურ-იბერიულ კულტურულ ცხოვრებაში ორიგინალურ მხატვრულ ინოვაციად გვევლინება. ამავე დროს, ჭვირულ ბალთებში გამოვლენილი ახლოაღმოსავლური მოტივებისა და დეტალების ნაირგვარობა, მათ კულტურულ კავშირებზე უნდა მიუთითებდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰასანლუ/ლურისტანული და კოლხურ-იბერიული არტეფაქტები დროის სხვადასხვა მონაკვეთშია შექმნილი, თვალსაჩინო ხდება მათი ერთიან მხატვრულ ნაკადში ჩართულობა. კოლხეთი და იბერია, როგორც აღმოსავლური სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ინტეგრირებულია იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან ხელოვნების ცენტრებთან, რამაც გარკვეული კვალი დატოვა ქვეყნის მატერიალური კულტურის ცხოვრებაზე.

დამოწმებანი

- აიხვალდი 1837:** Eduard Eichwald, "Reise auf dem Kaspischen Meere und dem Kaukasus unternommen in den Jahren 1825-26", Bd. I, Stuttgart, 1837.
- ამირანაშვილი 1963:** Шалва Амиранашвили, История Грузинского Искусства, Издательство Искусство, Москва, 1963.
- ანეა 1984:** Ancient Near Eastern Art, The Metropolitan Museum of Art, *Bulletin*, New Series, Vol. 41, No. 4, Spring, 1984.
- არტამონოვი 1973:** Михайл Артамонов, Сокровища саков, Москва, Искусство, 1973.
- აფანასევა... 1976:** Вероника Афанасьева, Владимир Луконин, Наталья Померанцева, Искусство древнего Востока, სერიიდან: *Малая История Искусств*, Москва, Искусство, 1976.
- აფაქიძე... 1955:** ანდრია აფაქიძე, გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, მცხეთა I, თბილისი, 1955.
- ბანკერი... 1970:** Emma C. Bunker, C. Bruce Chatwin, Ann R. Farkas, "Animal Style". Art from East to West. Artibus Asiae, New York, 1970.
- ბანკერი 2006:** Emma C. Bunker, Nomadic Art of the Eastern Eurasian Steppes: The Eugene V. Thaw and Other New York Collections, New York-New Heaven, London, 2006.
- ბარდაველიძე 1953:** ვერა ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.
- ბრაგვაძე 1997:** ზურაბ ბრაგვაძე, ჩხარის სამაროვანი, თბილისი, 1997.
- ბრენტისი 1978:** Burchard Brentjes, Die Iranisch Welt vor Mohammed, Leipzig, 1978.
- გაგლოევი 1981:** Роберт Гаглоев, „Археологические изыскания на монастырском могильнике“, *Полевые Археологические Исследования в 1977 году*, № 26, Тбилиси, Мецниереба, 1981.
- გაგლოევი 1980:** Роберт Гаглоев, „Об одном женском погребальном комплексе из монастырского могильника“, *Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института АН ГССР*, выпуск XXV, 1980.
- გაგოშიძე 1964:** იულონ გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964.
- გობეჯიშვილი 1939:** გერმანე გობეჯიშვილი, „ანგარიში სოფ. ღებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა“, *ენიმკის მოამბე*, IV, თბილისი, 1939.
- გობეჯიშვილი 1942:** გერმანე გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული ჭვირული უძველესი ბალთები (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი), თბილისი, 1942.

- ენჯელი... 2008:** Nicolas Engel, Dr. Ernie Haerinck, Daniel Lebourrier, Dr. Bruno Overlaet, Vincent C. Pigott, *Bronze du Luristan, énigmes de l'Iran Ancien*, Musée Cernuschi, Paris, 2008.
- ვეილი 1982:** Éric de Waele, *Bronzes du Luristan et d'Amlash: ancienne collection Godard*, Louvain-Neuve, 1982.
- თაყაიშვილი 1913:** Эквтиме Такайшвили, “Протокол 53”, *Известия ИКО-МАО*, вып. III, 1913.
- თორთლაძე 2003:** ზიზი თორთლაძე, „ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სემანტიკური ანალიზისათვის“, *ენა და კულტურა*, № 4, თბილისი, 2003.
- თუმანოვი 1969:** Cyril Toumanoff, “Chronology of the Early Kings of Iberia”, *Traditio*, Vol. 25, Fordham University, 1969.
- ივანოვსკაია 1928-a:** Татьяна Ивановская, “Кавказские бронзовые поясные пряжки”. Мистецтвознаводство, Харьков, 1928.
- ივანოვსკაია 1928-b:** Татьяна Ивановская, “Бронзовые прямоугольные пряжки с изображением бегущего зверя”, *Сборник в честь В. П. Бузескула*, Харьков, 1928.
- კარტერი 1957:** Dagny Carter, *The Symbol of the Beast, The Animal-Style Art of Eurasia*, New York, 1957.
- კაჭარავა... 2005:** დარეჯან კაჭარავა, გურამ კვიციანი, ანა ჭყონია, ნინო ლორთქიფანიძე, ოქრომრავალი კოლხეთი, კატალოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2005.
- კერტისი 1978:** John E. Curtis, “Some Georgian Belt-Clasps”, in: Ph. Denwood (ed.), *Arts of the Eurasian Steppelands, Colloquium on Art and Archaeology in Asia*, No. 7, London, 1978.
- ლომთათიძე 1957:** გიორგი ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი (ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა), საქართველოს მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1957.
- ლორთქიფანიძე 1989:** Отар Лордкипанидзе, *Наследие древней Грузии*, Тбилиси, Мецниереба, 1989.
- ლორთქიფანიძე 2002:** ოთარ ლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
- მაჩაბელი 1970:** Кити Мачабели, *Серебрянные фиалы из Армазисхеви (из истории античной торевтики грузии)*, Тбилиси, Мецниереба, 1970.
- მაჩაბელი 1976:** Кити Мачабели, *Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры)*, Мецниереба, Тбилиси, 1976.

- მონპერე 1893:** Frederic Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, t. IV, Paris, 1893.
- მუსკარელა 1988:** Oscar White Muscarella, Bronze and Iron, Ancient Near Eastern Artifacts in the Metropolitan Museum of Art, The Metropolitan Museum of Art, New York, 1988.
- ნემსაძე 1972:** გურამ ნემსაძე, „ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი ძამას ხეობიდან“, *სსმ*, XXIX-B, თბილისი, 1972.
- პენგი... 1998:** Tina Pang, Emma C. Bunker, Stefan Hagen, Rita Granda, Georgia Gunther, Treasures of the Eurasian Steppes: Animal Art from 800 BC to 200 AD, Catalogue, New York, 1998.
- პოუპი 1938:** Arthur Upham Pope, A Survey of Persian Art, Vol. IV, Oxford-London-New-York, 1938.
- პჩელინა 1968:** Е. Г. Пчелина, „Погребальные комплексы из Сохта, Урсдзуар и Рук в Юго-Осетии“, ИЮОНИИ, Выпуск XV, Цхинвали, Мецниереба, 1968.
- რაევსკი 2006:** Дмитрий Раевский, Мир скифской культуры, Изд. Языки славянских культур, Москва, 2006.
- როსტოვცევი 1922:** Mikhail Rostovtzeff, "Bronze Belt-Clasps and Pendants from the Northern Caucasus", *Bulletin of the Metropolitan Museum of Art*, 17, 1922.
- სლანოვი 1980:** А. Х. Сланов, „Итоги Археологического исследования Сохтинского и Кливанского могильников“, *Полевые Археологические Исследования в 1977 году*, № 25, Тбилиси, Мецниереба, 1980.
- სონლულაშვილი 2006:** ხათუნა სონლულაშვილი, „ჯიეთის სამაროვანი“, არქეოლოგიური ჟურნალი, № 4, *შ. ამირანაშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმი*, თბილისი, 2006.
- სურგულაძე 1986:** ირაკლი სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, მეცნიერება, 1986.
- ტეხოვი 2006:** Баграт Техов, Археология южной части Осетии, Издательство «Ир», Владикавказ, 2006.
- უვაროვა 1900:** Прасковья Уварова, „Могильники Северного Кавказа“, *МАК*, VIII, Москва, 1900.
- ფანცხავა 1988:** ლეილა ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი, მეცნიერება, 1988.
- ქორიძე 1961:** დომენტი ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.

- ყიფიანი 2006:** Guram Kipiani, “Openwork Bronze Buckles from the Caucasus: Problems of Attribution”, *Ancient West and East*, volume 5, nos.1-2, 2006.
- შპრენგლინგი 1953:** Martin Sprengling, “Third Century Iran, Sapor and Kartir”, *Oriental Institute*, University of Chicago, 1953.
- ჩუბინაშვილი 2007:** გიორგი ჩუბინაშვილი, არმაზის საგანძური, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2007.
- ხიდაშელი 1972:** მანანა ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 1972.
- ჯავახიშვილი 1987:** ქეთევან ჯავახიშვილი, „გვიანანტიკური სამარხი ზახორიდან“, *სსმმ*, XXXIX-B, თბილისი, 1987.

შემოკლებანი

ანეა ANEA – Ancient Near Eastern Art

ენიმკი – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე

სსმმ/SSMM – აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

ИКОМАО – Известия Кавказского отделения Московского археологического общества

ИЮОНИИ – Известия Юго-Осетинского Научно-Исследовательского Института

МАК – Материалы по археологии Кавказа

In Search of the Origins of Bronze Openwork Buckles from Georgia

Mariam Gabashvili

Ilia State University

The bronze buckles under consideration here have the form of openwork plaques adorned with stylized representations of animals. These have been discovered in highland regions of Georgia: Racha, Zemo Imereti (west Georgia), Shida Kartli and Trialeti (east and central Georgia), which were among the earliest and strongest centres of metalwork.¹ Over two hundred samples of openwork bronze buckles are known at present.² They seem to have been mass produced. Buckles have either been unearthed in graves (wide necropolises or separate burials) or discovered accidentally.³

Openwork buckles from Georgia have been attracting the attention of scholars since the 1930s, when the first samples from Racha, Zemo Imereti and the burials of Sokhta and Bakarta (Ursdzuar) in Shida Kartli became known [Eichwald 1837; Montpéreux 1893; Uvarova 1900; Takaishvili 1913: 48; Gobejishvili 1939; Pchelina 1968]. The first in-depth studies of these objects dealt with their attribution and the semantics of representations.⁴ Though widely studied by archaeologists, they have almost never been studied from the art historical point of view, except for a few rather superficial articles [Ivanovskaya 1928a: 11-27; Ivanovskaya 1928b: 417-423; Amiranashvili 1963: 58-62]. In 1972, Dr. M. Khidasheli gathered together almost all the buckles unearthed at that time and classified them into iconographic groups. Besides this, she investigated in depth the semantic aspects of the objects [Khidasheli 1972].

1 The buckles have been found no farther west, and they are concentrated on the approaches to the Mamisoni, Roki and Khalatsa passes Kipiani [2006: 206, nos. 1-2].

2 Most of the samples are kept in the Georgian National Museum. Several great museums, such as the State Hermitage in St Petersburg, the Metropolitan Museum of Art, and the British Museum also own bronze buckles from Georgia, as do private collectors. The majority of buckles have survived fully intact. Only some of them are represented in fragments. However, even the fragmentary condition of these plaques makes it possible to reconstruct completely the mode of decoration.

3 The majority of the plaques were discovered in an archaeological context.

4 See references in Khidasheli [1972]; Kipiani [2006: 199, note 4].

